

სპორტიელი

სპორტული გაზეთი

სამშაბათი 30 იანვარი 2001 №13 (1286)

ფასი 50 თეთრი

REUTERS მეტაფორიდან



ჯენიფერ კაპრიატი

კახა კალაძეს ჩაასვენს, ხალხში გაპოიზვანეს, მისი ფასი კი დაგაღებს

გუშინ იტალიის „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და გენერალურმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ კლუბის ოფისში, ვია ტურატიზე, საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინეს „მილანის“ ახალწვეული ქართველი მცველი კახა კალაძე და მას 13-ნომრიანი შავ-ნითელი მაისურაც გადასცეს.

ცერემონიალს საპატიო სტუმრებთან ერთად უამრავი ჟურნალისტი დაესწრო. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, მაშინაც კი, როცა „მილანში“ ანდრეი შევჩენკო გადავიდა, საზოგადოებისთვის მის წარდგენას ამდენი ხალხი არ დასწრებია. კალაძის „მილანში“ გადასვლა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

ადრიანო გალიანი: „კახა კალაძე „მილანისთვის“ უმნიშვნელოვანესი შენაძენია. ის გუნდთან ერთად ვარჯიშს ხვალდანვე შეუდგება და მწვრთნელი გადანყვეტს, როდის ათამაშოს. მის სანაცვლოდ „დინამოსთვის“ გადახდით თანხას კიეველებს თხოვნი ვერ გავახმაურებ, ეს საიდუმლოა“.

კახა კალაძე: „მილანში“ თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ მილანელი გავხდი. ეს დიდი გუნდია და ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საამაყოა შავ-ნითელი მაისურით თამაში. მაქსიმალურად ვცეცდები, ჩემი სიძლიერე დავამტკიცო და მილანელ



გუშინ მილანში, ვია ტურატიზე მილანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კახა კალაძეს 13-ნომრიანი მაისურა გადასცა

ტიფოზებს თავი შევაცვარო“.

13-ნომრიანი მაისურა კი, რომელიც მილანელებმა კალაძეს შესთავაზეს, იტალიაში თურმე თარსად სულაც არ ითვლება და ადრე „მილანში“ ეს ნომერი ახლახან ესპანეთის „სოსიედადში“ გაყიდული ჟულიო სეზარისა იყო. ნავსიანად სერია A-ს ფეხბურთელებში 17 ნომერი მიიჩნევა და „მილანში“ მისი პატრონი დრაჟენ ბრნიჩია.

კახა კალაძემ გუშინდელი ცერე-

მონიალის შემდეგ ცოტა ხანს დაისვენა, სალამო ხანს კი ერთ-ერთ მილანურ რესტორანს ანდრეი შევჩენკოსთან და სხვა ახალ თანაგუნდელებთან ერთად ეწვია — გუშინ „მილანი“ ისვენებდა.

დღეიდან კი კახა კალაძე ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით შეუდგება ვარჯიშს და შესაძლოა 4 თებერვალს „რეჯინას“ წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც.

კოზა ინასარიძე

ნიჭი! კაპრიატის ჯადოსნური ლიფტი



11 უსაშველოდ გაჭიანურებული წელიწადი დასჭირდა ჯენიფერ კაპრიატის, რათა საჩოგბურთო ოლიმპოს თავზე მოქცეოდა. სპორტული მწვერვალების ნაცვლად ყოფილმა ვუნდერკინდმა ამ ხნის მანძილზე საზოგადოების ფსევრი, პოლიციის უბნების კედლები და ნარკომანთა გამოსასწორებელი კლინიკა იხილა. არაერთი რეკორდის პატრონი, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი რამდენიმე წლის მანძილზე ჩოგანს საერთოდ არ ვაკარებია, ჩოგბურთის დაბრუნებული კი ისეთი მსუქანი იყო, კორტზე გადაადგილება უჭირდა, დაუსრულებლად აგებდა პირველივე წრეში... მაგრამ სასწაულები თურმე მხოლოდ კინოში კი არა, რეალურ ცხოვრებაშიც ხდება. შაბათს, ყოველგვარი ლოგიკისა და გრაფიკის კანონების საწინააღმდეგოდ, ჯენიფერ კაპრიატი დიდი სღემის ტურნირის ჩემპიონი გახდა — ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში თვით მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა პინგისს მოუგო და როდ ლეავერის ცენტრალური კორტი ყურებაზე ღიმილით გაანათა. „ვინ იფიქრებდა ამას? ოცნებები სრულდება!“ — ამაში კაპრიატის ვერავინ და ვერასოდეს გადაარწმუნებს. კაცებს შორის მეტაბურნში ზედიზედ მეორედ ანდრე აგასიმ იმარჯვა.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

რუსებმა სინის ნაბჰარტვეს



თედო ზიზნიბაძემ (ბურთით) და მისმა თანაგუნდელებმა პირველად კანადასთან წაიფორხილეს




არბენტინულ მარ დელ პლატაში დასრულებული შეიდეკაცა რაგბის მესამე მსოფლიოს თასის 24 გუნდა ფინალური ტურნირი ფრანკ კლოდ სორელის მიერ დამოძღვრილმა ქართველებმა ფრანგთა 19:14 ძღვევით ჩინებულად დაიწყეს, „მამლებს“ ჩვენებურებმა ტაივანიც (24:0) მიაყოლეს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, B ჯგუფში პირველობას არავის დაანებებდნენ, მაგრამ, ჯერ იყო და, „ბორჯღალოსნებმა“ კანადასთან წაიფორხილეს (7:20), მერე სამხრეთ აფრიკასთან წააგეს (12:24), ბოლოს კი კუკეთთან მატჩი, ფაქტობრივად, უბრძოლველადაც დათმეს (0:19) და ჯგუფში მხოლოდ მეოთხეობას დასჯერდნენ. ჯგუფში ორდინანი ასპარეზობის შემდეგ რვა-რვად დაყოფილმა გუნდებმა ოლიმპიური სისტემით განაგრძეს შეჯიბრი. უკეთესებმა გაითამაშეს თასი, საშუალოებმა სინი (IX ადგილი), მაჩანჩალებმა ფიალა (XVII). ქართველებმა სინისთვის იბრძოლეს. ჩვენებმა მეოთხედფინალში კორეა დაამარცხეს 24:19, ნახევარფინალში 17:10 უელსსაც მოუგეს და ფინალში რუსებს შეეყარნენ. ამჯერად რუსებმა იმარჯვეს, 24:12 მოიგეს და სინიც მათ დარჩათ. საქართველომ კი საბოლოოდ მეათე ადგილი დაიკავა. მთავარი ჯილდო, „მელოროზის თასი“ ახალწელანდილებმა მოიპოვეს, ჯონალომუ და „შავმა შვიდეულმა“ ფინალში 15-კაცა რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია 31:12 დაამარცხა. ნაბოლარების წილი ფიალა კი ჩილეს ერგო. სამხრეთამერიკელებმა პორტუგალიელები დაჯახნეს 21:19.


ბაჩო სვანიძე

ALL STAR GAME

პატივმოხადი, 9-11 თებერვალი



ტრეისი მაკგრეიდი: პირველად „ოლ სტარში“, პირველად ხუთეულში



შაილ ონილი: რვაჯერ „ოლ სტარში“, რვაჯერ ხუთეულში

გაღმა-გაგონა ხუთ-ხუთა პარსკლავა გაგონათა

2000-01 წლების სეზონი სანახევროდ მიიღია და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას კარს მოადგა ყოველწლიური შოუ — „ოლ სტარი“...

ორგანიზატორები დიდ ფაციფუცში არიან. ამბობენ, ისეთ სანახაობას დავდებთ, როგორც არასდროს ყოფილა...

კვირას, 28 იანვარს, დასრულდა გულშემატკვართა თვენახევრიანი გამოკითხვა...

აი, ხუთეულშიც — დასავლეთში უკანა ხაზში. თამაშებენ ფინიქსელი ჯეისონ კიდი და ლეიკერსელი კობი ბრაიანტი...

აი, აღმოსავლეთში (სადაც ამ ბოლო წლებში რიგობს მალალონი უკმარისობა) ხუთეული კი გაცილებით ტანდაბალია...

ზემოაღნიშნული ათი კაციდან ყველა 90-იანი წლების თაობის წარმომადგენელია...

შემოდეს ნბა-ს კარი. შაილ ონილი „ოლ სტარის“ ვეტერანი, რვაჯერ მიუღია მონაწილეობა და ყოველთვის სასტარტო ხუთეულში უთამაშია...

რაც შეეხება გუნდების დანარჩენ მწვერვლებს, მათ ნბა-ს 29 გუნდის მწვერვლები დღეს 30 იანვარს დაასახელებენ...

ცნობილია მწვერვლები, რომლებიც ინიშებიან იმის მიხედვით, თუ რომელი გუნდი ლიდერობს ამა თუ იმ კონფერენციაში...

აღმოსავლეთის მწვერვლები კი კარგა ხანია, ცნობილია — „ფილადელფიას“ ლარი ბრაუნი...

„ოლ სტარის“ შოუ მხოლოდ დასავლელ-აღმოსავლელ რჩეულთა საღალბო ჭიდილი არ გახლავთ. გარდა ამისა, შოუ-პროგრამაში შედის: ახალბედათა და მორეწლიანთა შეხვედრა...

უკრაინული ნოკაუსი

უკრაინის ჩემპიონატი 2001

უზსარგავი ქტაპი. X ტურში. 27 იანვარი

Table with columns A and B, listing basketball players and their statistics for the 2001 Ukrainian Championship.

Table with columns C and D, listing basketball players and their statistics for the 2001 Ukrainian Championship.



ბულგარეთი — ისრაელი. ბულგარელი პეტარ პეტროვი ტალ ბურშტეინის (მარცხნივ) და ილო კოხიჯაროს წინააღმდეგ

უკრაინის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი ციკლი ისტორიას ჩაბარდა. გაირკვა ის რვა ნაკრები, რომელიც დანარჩენ რვას შეუერთდა...

ბოლო ტურისთვის თურქეთის საძი საეზური იყო ვაკანტური და რვა გუნდს მათი დაუვლები მანსი ქიონდა...

ესტონეთმა აღარ გაართულა საქმე და პირველსავე ნახევარში გადაუწურა ჩეხეთის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების იმედი...

Advertisement for the Ukrainian Championship, including a list of participants and contact information.

ნაქცევა

ბრატისლავაში ფიგურულად მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, სადაც ყინულზე ცეკვაა, იქ ვარდნაცაა. ფრანგული წყვილი მარინა ანისინა — გვენდალ პეიზერა ასე წახდა.



REUTERS ბრატისლავიდან

ჩვენ ნიუ იორკელები

ამ დღით მთელს მსოფლიოს ეცოდინება ვინ მოიგო ოცდამეთხუთმეტე სუპერბოული, „ნიუ იორკ ჯაიანტსმა“ თუ „ბალტიმორ რეივენზმა“. ეს ფოტო კი თამაშამდეა გადაღებული ტამპა ბეის სტადიონის მისადგომებთან. ამერიკული ბურთაობის ნიუ იორკელი ფანები თავიანთი გუნდის ერთგულებას შიშვლად ადასტურებენ.



REUTERS ტამპაიდან



REUTERS სანტ ანტონიდან

დაინჟო

ბუშინ ავსტრიულ სამთო ალაგ სანტ ანტონში სამთომთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსნა. იმ სიცივეში თავშიშველად მდგომმა ბრიტანეთის უფლისწულმა ედვარდმა საპატიო სიგელი მიიღო თხილამურობის დიდი ტრფიალისთვის. ფრანგი რეგინა კავანიუ კი ერთგვარი სიხარულით სინჯავდა საბაგიროს. კავანიუ ხომ გიგანტური სლალომის ერთ-ერთი ფავორიტი.

ტრაგედია

ტრაგედია დატრიალდა სტრასბურს ახლო, კოლორადოს შტატში. ავიაკატასტროფამ იმ-სხვერპლა ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის ათი წევრი. ოკლაჰომელები თორმეტი რჩეულის სერიის ერთ-ერთი მატჩის სათამაშოდ მიეშურებოდნენ და კოლორადოს უნივერსიტეტში უნდა გაემართათ მატჩი. მაშველები დენვერიდან 40 კილომეტრის დაშორებით დაექებენ ნაშთებს.



REUTERS სტრასბურიდან



REUTERS სანტ ანტონიდან

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერია
დირექტორი ბიორბი ოქრომჭაღლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ჳურაბ მიქველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორევიძე
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუიკაძე, სოლომონ გულისა-
შვილი, ვიორჯი დარჯანია, ვიორჯი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე;
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, კალა-
თბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, ვიორჯი ბიკაშვილი,
ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი
გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა
გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვა-
ძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე,
თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შილაშვილი, გურამ
ხელაშვილი
გამომშვები ჳურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის ბაზარი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbliel@gol.ge
ელექტრონული ვებ-საიტი
<http://www.sarbliel.com.ge>

ქინქლაძე ნემსებზე რას მოწოდებენ ბიოს ნერვებს?



გიორგი ქინქლაძე ხელახლა სამკურნალო გახდა

საქართველოს ნაკრების და ინგლისის „დერბის“ ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე კვლავ ტრავმირებულია და ამჟამად ნემსებით მკურნალობს.

საზარდულის ტკივილმა ვიო ქინქლაძე ზაფხულში შეაწუხა და მასწავლებელი ოპერაციის შემდეგ საკმაოდ ხანსაც დაისვენა. მერე კი ათამაშდა, მაგრამ არასტაბილურად. თავის კლუბში

ბში ხშირად სათადარიგო იყო და მწკრივშიც სულ 15-20 წუთით უშვებდა მინდორზე. მიზეზიც თავად გვიტყვით, თურმე ტრავმა ბოლომდე ვერ მოეშუშებია. თავდაპირველად ექიმებს მისთვის არასწორი დიაგნოზი დაუსვათ. ორი კვირის წინ კი ყველაფერი გაარკვიეს და ნემსები დაუნიშნეს.

— დაახლოებით სამი კვირა კიდევ მომიწევს დასვენება — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ, როცა დერბიში შევეხმინეთ — არ მინდა, ვიფიქრო, მაგრამ ისე გამოდის, რომ ტრავმირებულს ძალიან მათამაშებდნენ. მიკვირს, ექიმებმა როგორ ვერ გაიგეს, რა მაწუხებდა. ხრტილი მქონდა დაზიანებული და ნერვს მკურნალობდნენ.

— ვუროდის გაიგეს?
— „მილსბროსთან“ 0:4 წაგებული მატჩის შემდეგ. თამაშის დროს მეტოქე დამეჯახა და სწორედ მაშინ ვიგრძენი საშინელი ტკივილი. ის მატჩი მანაც ჩავამთავრე და მერე, როცა ექიმებმა გამსინჯეს, მაშინდა მიხვდნენ შეცდომით რომ მკურნალობდნენ. ადრე, ზაფხულში რომ დავისვენე, საზარდულზე რენტგენი კი გადამიღეს, მაგრამ არაფერი ჩანდა და მათაც ეგონათ, ერთერთი ნერვი მაწუხებდა.

— ოპერაცია საჭირო არ არის?
— არა. ეს ორი კვირა ვისვენებდი და ახლა ნემსები დამინიშნეს. ასე აჯობებსო, მეუბნებიან.

— სამი კვირის შემდეგ ითამაშებ თუ ვარჯიშს განაახლებ?

— ვარჯიშს დაიწვევს და დაახლოებით 10 დღეში ალბათ, ფორმასაც აღვიღებ. უკრინანსთან ამხანაგურ მატჩსაც ამის გამო გამოვტოვებ და იმედი მაქვს, რუმინელებთან სათამაშოდ კარგად მოვემზადები.

კობა ინსასარიძე



კახა კალაძე ახალ გარემოს ეგუება

კალაძე მილანისთვის მეორე დესანია კახამ ლანას ცოდვა დაიღო

კახა კალაძის კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ტრანსფერი ბოლოდროინდელ საფეხურით მოვლენათაგან ერთერთი ყველაზე გამორჩეულია. ამაზე ლაპარაკობენ და წერენ ჩვენშიც და იტალიაშიც. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის კი ლამის ყოველდღე უწევს ამ ტრანსფერზე ინტერვიუს მიცემა, რომელშიც იგი კახა კალაძის კარგ ფეხბურთელობაზე ლაპარაკობს.

ფეხბურთით ინტერესდომი კლბული არ უნდა იყოს, რაც გალიანამ გუშინ იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა:

„მომაგალ ტურში „მილანს“ ყველაზე ბარათების გამო ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი დააკლდება — ალბერტინი, კოკო და კოსტაკურტა. სამაგიეროდ, მწვერთველ ალბერტო მაცკერონის კახა კალაძის იმედი უნდა ჰქონდეს. ახლა მაცკერონის გადასაწყვეტია, ათამაშებს თუ არა ქართველს უახლოეს მატჩში.“

„კალაძის თამაში ბევრჯერ მინახავს. როცა შევეჩვიე ვაკვირდებოდი, ისიც ჩვენს თვალთახედვის არეში იყო. კახა ძლიერი და მრავალმხრივი ფეხბურთელი.“

მას ერთნაირი სიძლიერით შეუძლია ნახევარდაცვის ცენტრში, სტოპერად და მარცხნივაც თამაში. დესანის მაცოცხლებს.

„ჩემი აზრით, კალაძეც ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება „მილანისთვის“ დაცვაში, როგორც თავდასხმაში შევეჩვიეთ. ჩვენს მას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ.“

„კალაძე „მილანისთვის“ დროული შენაძენია — ჩვენს გუნდს ხომ წ თამაშში 24 ბურთი აქვს გაშვებული. ის ჩვენს დაცვას გააძლიერებს და ისევე გამოვადგება, როგორც ზაფხულში ბრაზილიიდან გადმოხირებული როკე ჟუნიორი.“

როცა „სარავოსასგან“ მცველი ლანა ვივილით, მაშინ კალაძის ტრანსფერი მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ სასწრაფოდ გადაწყვიტეთ ქართველთან კონტრაქტის გაფორმება. ახლა კი, რადგანაც კახა მილანელია, ლანა თავისუფალია, სადაც სურს, იქ ითამაშოს, ჩვენ ხელს არ შევეშლით.

აი, ეს თქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ქეცბაია მგლებს გაურბის აქვს ოქრო სურს, ფულის გადახდა — არა

ინგლისის „ჟულვერპეტონის“ ქართველი თემურ ქეცბაია შესაძლოა, საბერძნეთში დაბრუნდეს და კარიერა თავის ყოფილ კლუბ ათენის აეკ-ში გააგრძელოს, საიდანაც იგი ინგლისში, „ნიუკასლში“, გადაბარგდა.

საბერძნეთში ზამთრის სატრანსფერო სეზონი ერთ კვირაში იხურება და თუ ქეცბაია აეკ-ში დაბრუნდება, ეს ამბავი უახლოეს ორ-სამ დღეში უნდა გადაწყდეს. როგორც აეკ-ის ხელმძღვანელები აცხადებენ, მათ დიდი სურვილი აქვთ, ქეცბაია გადაიბირონ, მაგრამ ისიც იციან, რომ მის სანაცვლოდ „ჟულვერპეტონს“ საბერძნეთისათვის უჩვეულო, ერთობ დიდი თანხა უნდა გადაუხადონ. ახლა აეკ-ის უფროსები სხვა გზას ეძებენ, ყველანაირად ცდილობენ, ქეცბაია როგორმე დაიბრუნონ. აქ კარგად იციან მისი შესაძლებლობები — გვიტყვით გუშინ ჩვენმა ბერძენმა კოლეგამ ვასილის სობრაკოსმა.

თავად ფეხბურთელი კი ახლა ინგლისშია და რამდენიმე კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. იქნებ რომელიმე ვარიანტი გამოუვიდეს და კვლავაც ალბიონზე დარჩეს. და თუ ქეცბაია ინგლისელებთან ვერ შეთანხმდა, მაშინ ალბათ საბერძნეთში დაბრუნდება. ბერძენები მას ყოველთვის მიიღებენ.

შეგახსენებთ, ქეცბაია თბილისის „დინამოდან“ კვიპროსის „ანართოსისში“ გადავიდა, იქიდან კი — აეკ-ში. სწორედ იქ თამაშობდა, როცა 1995 წელს საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მერე იყო „ნიუკასლი“, ამ ზაფხულს კი კარიერა ინგლისის პირველი დივიზიონის „ჟულვერპეტონში“ გააგრძელა,



თემურ ქეცბაია შესაძლოა ისევ საბერძნეთში დაბრუნდეს

თუმცა ვერ ტრავმირებული გახლდათ და ბუნებრივია, ვერ თამაშობდა. ახლა გამოჯანმრთელდა და მწვერთელი ადარ

ენლობა. თემურიც „ჟულვერზე“ გულაყრდია და იქ გაჩერება არ სურს.

კობა ინსასარიძე

იტალია	გერმანია
სერია B. XX ტური	II ბუნდესლიგა. XIX ტური
პისტორიუზა 12 ევპოლი	არმიენა 11 ული

ექიმის კარდინოლოგი

გია მაზაპრაშვილი

- ◆ სუ ჯოკ აკუაშემტურა
- ◆ სუ ჯოკ ჰომოპათია და ფიტოთერაპია
- ◆ კვებისადა ზომიერ რაჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

სიოჰინა ჯანაშია იპოვა

უცნაურია, ცოტა ხნის წინ ზაზა ჯანაშიას რუსული „ლოკომოტივიდან“ ბევრი ჩამოწერილად თვლიდა. ის კი არა, ქართველის გარეშე უკმაყოფილო მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელები ხმადაღალ განცხადებებსაც არ ერიდებოდნენ წონამომატებული ფეხბურთელი ლამის საწვრთნელი შეკრების წინ დაითხოვეს გუნდიდან, დღეს კი...

„ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელის იური სიოჰინის და ზაზა ჯანაშიას მამაშვილური ურთიერთობა ბევრისთვის ცნობილია, ალბათ ამის წყალობით იყო, რომ ქართველს კიდევ ერთი შანსი მისცეს, მისცეს და არც შემცდარან ჩვენი რუსი კოლეგები პორტუგალიურ რეპორტაჟებში გაოცებულნი აღნიშნავენ ჯანაშიას საოცარ მეტაფორფოზას.

„ლოკომოტივი“, მოგეხსენებათ, პორტუგალიაში იმყოფება შეკრებაზე და 27 იანვარს ალბუფეირას „მონტეშოროზე“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა თანაქალაქელ „დინამოსთან“. რკინიგზელებმა 3:0 მოიგეს, შეხვედრა კი ჯანაშიას და ბუზნიკინის ბენეფისად იქცა.

„ნებისმიერი მწვრთნელი იოცნებებს ასეთ ტანდემზე. ჯანაშია და ბუზნიკინი შეუდარებელი იყვნენ როგორც ჩანს, სიოჰინმა მიაღწია საწაღელს, მას ჰყავს, ორი განსხვავებული სტილის, მაგრამ საოცრად შეთამაშებული ფორვარდი, რომელიც ნებისმიერი გუნდის დაცვას ბევრ პრობლემას გაუწერს.

ჯანაშია შეუდარებელია ორთაბრძოლისას, დახვეწილია მისი თითოეული პასი, პარალელურად იმასაც ახერხებს, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე გაჩნდეს“ — ასეთია რუსი ჟურნალისტების აზრი, ცოტა ხნის წინ ქართველ თავდამსხმელს ჩამოწერილად რომ თვლიდნენ.

„დინამოსთან“ მატჩში ჯანაშიამ პირველი გოლი



ზაზა ჯანაშია

ასისტენტობა გაუწია ბუზნიკინს, მეორე ტაიმში კი ევსევეის დარტყმულს და ძელიდან ასხლეტილ ბურთს პირველი დაუხვდა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ ნამატჩვეს „იური სიოჰინმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა: „აი, ეს არის ჯანაშია!“

აკაკი კვანთალიანი

ესენბე ვიდვას ბაახსენდება?!

დამთავრდა ესენგეს თაისის მორიგი, მეცხრე გათამაშება და, რა თქმა უნდა, მოსკოვის „სპარტაკი“ დარჩა მოგებული. გუშინწინ რიგის „სკონტო“ ბევრი ანერვიულა რომანცევი და მისი სამწესო, მაგრამ...

„სპარტაკის“ საფინალო განაცხადში იყო ქართველი ოთარ ხიზანიშვილი, თუმც მას მოუდუნებე გასვლის შანსი არ მისცემია.

„სკონტოს“ მთავარი მწვრთნელის სტარკოვის განცხადებაში საში ჩვენებური იყო. რეზევი-აშვილი და მენტეშაშვილი მთელი თამაშის განმავლობაში ოფლს ღვრიდნენ, ხოლო კორდალიძე სათადარიგოთა სკამიდან ქრამავდა თანაგუნდელებს.

„სკონტო“ თავიდანვე თავგანწირვით იბრძოდა და დაუფასდა კიდევ ლიზანსმა „სპარტაკს“ 28-ე წუთზე გაუტანა. ტაიმზე მეტხანს ინარჩუნებდა „სკონტო“ უპირატესობას, სანამ რობსონმა არ გაათავარა.

რიგებმა ფინალი დამატებით დროში მაინც გადაიყვანეს, თუმც მერე მხოლოდ ცხრა წუთი გაძლეს ციხმისტრუკმა ოქროს დარტყმა 99-ე წუთზე განახორციელა.

მომავალი წლის დამდევამდე არავის გაახსენდება ესენგეს თაისი. მაშინ კი ახმაურდებიან ჩვენი რუსი კოლეგები. ისე რატომაც არა, „სპარტაკი“, ალბათ, მომავალ წელსაც მოიგებს ესენგეს გათამაშებას.

დათო დანელია



ზურაბ მენტეშაშვილის (№15) „სკონტოს“ ესენგეს თასამდე 15 წუთი დააყვდა

REUTERS მოსკოვიდან

შეიძებნოსთა Tbilisshi!

Rivaldo
Brazil
COLLECTOR NUMBER: PRO151

Roberto Carlos
Brazil
COLLECTOR NUMBER: PRO150

Christian Vieri
Italy
COLLECTOR NUMBER: PRO059

Angelo Peruzzi
Italy
COLLECTOR NUMBER: PRO062

**RIGHT HERE
RIGHT NOW**

მალაზია

ბარბი ტეფალი

3333

ჭაგჭაგადის 19

SOLD OUT ანუ ფაფუ!

ფაფუ მალა იმეზა!

ფაფუ მალა იმეზა!

SOLD OUT ანუ ფაფუ!

